

## პირველი სამი თვის განმავლობაში დაზღვევის შეძენისას ღირებულების 50%-ს “ჯიპიაი ჰოლდინგი” დააფინანსებს

### შეთავაზება ავტომობილებისა და ჯანმრთელობის ინდივიდუალურ დაზღვევაზე ვრცელდება

- ოჯახის ექიმისა და სპეციალისტების დისტანციური კონსულტაციების 100%-იანი დაფინანსება, სადაზღვევო პაკეტის მიუხედავად
- ანაზღაურების სრული პროცესი ონლაინ პორტალით და აპლიკაციით
- საჭიროებისას კონსულტაციებისა და კვლევების დაგეგმვა პროვაიდერ კლინიკებში, პაციენტის უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით
- აუცილებლობისას ექიმის ვიზიტისა და ლაბორატორიული ნიმუშების აღების ორგანიზება ბინაზე, პაციენტის უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით

**22 აპრილი, თბილისი, საქართველო:** “ჯიპიაი ჰოლდინგი” დაზღვევის შეძენის მსურველებს სამ თვიან საშელავათო პერიოდს სთავაზობს. კომპანია ახალ მომხმარებლებს პირველი სამი თვის განმავლობაში დაზღვევის საფასურის 50%-ს თავად დაუფარავს. შეთავაზება ვრცელდება როგორც ჯანმრთელობის, ისე ავტომობილების ინდივიდუალურ დაზღვევაზე. ჯიპიაიში აცხადებენ, რომ კრიზისის ფონზე დაზღვევით მიღებული დაფინანსება და ანაზღაურება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და ამ ახალი ინიციატივით, სურთ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეცეს საშუალება, ჩაერთონ სადაზღვევო სისტემაში და ისარგებლონ დაზღვევით გათვალისწინებული სარგებლით.

სამთვიანი საშელავათო პერიოდით ისარგებლებს ყველა ის ადამიანი, ვინც “ჯიპიაიში” ჯანმრთელობისა და ავტომობილის დაზღვევის პაკეტს ინდივიდუალურად შეიძენს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ყველა ახალი მომხმარებელი შეძლებს გამოიყენოს ის დისტანციური სერვისები, რასაც კომპანია დაზღვეულებს სთავაზობს, მათ შორის სპეციალისტის სატელეფონო კონსულტაციას 100%-ანი დაფინანსებით, საჭიროების შემთხვევაში ექიმისა და ლაბორატორიის მომსახურებას ბინაზე.

**პაატა ლომაძე, “ჯიპიაი ჰოლდინგის” გენერალური დირექტორი :** “*დღეს ადამიანებს ორი მთავარი საზრუნავი აქვთ - სიმშვიდის შენარჩუნება და ჯანმრთელობის შენარჩუნება -*

დაზღვევა სწორედ იმაში ეხმარება ადამიანებს, რომ დაცულობის გრძნობა გაუჩნდეთ და საჭიროების შემთხვევაში ანაზღაურება მიიღონ, იქნება ეს სამედიცინო მომსახურების ხარჯები თუ სხვა რისკები. ჩვენთვის ახლა მთავარია რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივცეთ საშუალება, რომ დაეზღვიოს და ყველა იმ ბენეფიტით ისარგებლოს რასაც ჩვენს დაზღვეულებს ვთავაზობთ.”

კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ პერიოდში ავტომობილების მფლობელთათვის განსაკუთრებით აქტუალურია სადაზღვევო პაკეტი, რომლებიც ისეთ რისკებს ფარავს როგორცაა : ქარიშხალი, დატბორვა, მეწყერი, მიწისძვრა, ღვარცოფი. ახლა, როცა ავტომანქანები უმეტესად ეზოებსა და ქუჩებში დგას განსაკუთრებით საყურადღებოა ასევე ვანდალიზმი და საგნების ვარდნა. შემცირებული მოძრაობის მიუხედავად, “ჯიპიაი“-ს სტატისტიკით, ავტოსაგზაო შემთხვევები მხოლოდ ოდნავ შემცირდა - რაც იმას ნიშნავს, რომ კვლავ შენარჩუნებულია ავტოსაგზაო შემთხვევების დროს მანქანის დაზიანების რისკიც. აღსანიშნავია, რომ “ჯიპიაის” ანაზღაურების სამსახური ჩვეული გრაფიკით აგრძელებს მუშაობას, რომ ზარალის დარეგულირებისა და ანაზღაურების პროცესში შეფერხება არ იყოს.

“ჯიპიაიში “დაზღვევის შემთხვევაში მომხმარებელი სრულ სადაზღვევო მომსახურებას დისტანციურად მიიღებს. ისინი შეძლებენ ისარგებლონ პირადი ექიმისა და პედიატრის სატელეფონო კონსულტაციით. კლინიკა “კურაციოს” ბაზაზე ყველა ახალ დაზღვეულს სპეციალისტთან სატელეფონო კონსულტაცია 100%-ით დაეფარება. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში ჯიპიაი დაზღვეულებს ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებასა და ექიმთან კონსულტაციის გავლას ბინაზე მისვლით სთავაზობს.

\*\*\*

“ჯიპიაი ჰოლდინგი” ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელმაც covid- 19-ის გავრცელებასთან ბრძოლის ფარგლებში გააფართოვა ციფრული სისტემები და დაზღვეულებს სრული სადაზღვევო სერვისი დისტანციურად შესთავაზა. ჯიპიაის მომხმარებლები დისტანციურად ახერხებენ მიიღონ სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურების ანაზღაურება, გაიარონ სატელეფონო კონსულტაცია პირად ექიმთან, პედიატრთან და ვიწრო სპეციალისტთან, 100%-ანი დაფინანსებით. დაზღვეულებს ონლაინ შეუძლიათ მოითხოვონ საგარანტიო წერილი და გადაიხადონ დაზღვევის პრემია.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს დაზღვევა ონლაინ ან გაიაროს სატელეფონო კონსულტაცია ჯიპიაის წარმომადგენელთან და დისტანციურად გაიფორმოს პოლისი. ბოლო ერთი თვის განმავლობაში კომპანიამ 250 000-ზე მეტი დისტანციური ოპერაცია განახორციელა.